სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/73

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ადმინისტრაციული სერვისები“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/64 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის №442653 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს **პროფესიული** საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული **სერვისები“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის** შემადგენლობა, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში (,,რექტორის აქტები; ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს (ცენტრმა უზრუნველყოს პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის ბრძანების დაგზავნა და გაცნობა), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 აპრილის №01-02/73 ბრძანების დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

1. მამუკა გოგელია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფინანსური მენეჯერი;
3. ნათია დევაძე - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ქალაქ ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის პედაგოგი, მახინჯაურის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლებისა და ხელოვნების მასწავლებელი, პროგრამის სავარაუდო ხელმძღვანელი;
4. თამილა ქარცივაძე - ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, პროგრამის სავარაუდო ხელმძღვანელი;
5. ნატალია ნაკაშიძე - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
6. ლიკა მკურნალიძე - აჭარის ა.რ. განათლებისა და სპორტის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, პოტენციური დამსაქმებელი;
7. ნინო კერვალიშვილი - ბათუმის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, პოტენციური დამსაქმებელი.